აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის როლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ომისშემდგომი 1945-1970 წლების ფუნქციონირებაში და მისი სამეცნიერო ნაშრომები

ადეიშვილი თ., ადეიშვილი თორ., დადუნაშვილი გ., ქიფურიშვილი თ.
საქართველოს ეკოლოგურ მეცნიერებათა აკადემია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (ამჟამად იწოდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში ფუნქციონირებაში შეუფასებელია მისი დამაარსებლისა და პირველი პრეზიდენტის (1941-1972 წწ.) ღვაწლი. ამ საკითხების სრულყოფილად წარმოჩენას არაერთი ნაშრომი, კონფერენცია თუ სიმპოზიუმი აქვს მიძღვნილი. ყველა მათგანის დამსახურება არსებითია და მთლიანობაში გარკვეული წინსვლის მატარებელია. თუმცა საკითხი ამოუწურავია და გარკვეული ხარვეზებიც აქვს. ამ სტატიის მიზანიც ხარვეზების გარკვეულ აღმოფხვრის პროცესს ემსახურება.*

1. ომის შემდგომ პერიოდში საქ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში განხორციელებული ცვლილებები.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლები საქართველოში მეცნიერების განვითარების არსებით პერიოდს წარმოადგენდა. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები და მეცნიერების შესაბამისი მიმართულებები. კერძოდ, აქ ვგულისხმობთ ელექტრონიკას, რადიოტექნიკას, ხელსაწყოთმშენებლობასა და სხვ. 1956 წელს საკავშირო მნიშვნელობის ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოში ჩამოყალიბდა: თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო--კვლევითი ინსტიტუტი; მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ექსპერიმენტული ბაზით გორში; მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი რუსთავში განთავსებული ექსპერიმენტული ბაზით; ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამამზადებლი ქარხანა ლოკალიზებული თბილისში დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროთი; ქუთაისში მდებარე სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო მრეწველობისათვის ხელსაწყობისა და ავტომატიზირებულ საშუალებათა დაპროექტების მიზნით; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბებული ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი, რომლებსაც შემდგომში მართვის სისტემების ინსტიტუტი ეწოდა.

ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში განხორციელდა არსებითი სტრუქტულ-ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებმაც კვლევები კიდევ უფრო სწრაფად წარმართა ტექნიკური მეცნიერებათა დარგებში. კერძოდ, 1956 წელს შეიქმნა გამოთვლით ცენტრი, როელიც ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **ნ. მუსხელიშვილის** სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტია. იმავე წელს ლითონი-

სა და სამთო საქმის ინსტიტუტს გამოეყო გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი (შემდგომში **რ. აგლაძის** სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი). 1957 წელს ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამთო განყოფილება გაერთიანდა სრულიად საკავშირო ნახშირის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან და შეიქმნა სამთო საქმის ინსტიტუტი (შემდეგ **გ. წულუკიძის** სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი), რის შედეგადაც ლითონისა და სამთო საქმის ინტიტუტს ეწოდა მეტალურგიის ინსტუტიტი (შემდგომში **ფ. თავაძის** სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი). ამ უკანასკნელის ბაზაზე 1958 წელს შეიქმნა საშენ მასალათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტუტი, ხოლო 1959 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი (შემდგომში **რ. დვალის** სახელობის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი. 1960 წელს საქართველოს მენციერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა კიბერნეტიკის ინსტიტუტი. მის დაარსებას წინ უსრებდა ფიზიკური კიბერნეტიკის ლაბორატორიისა და შესაბამისი კათედრის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ფიზიკის ფაკულტეტზე. ამაევე წელს აკადემიის სისტემაში დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (შემდგომში **გ. წერეთლის** სახელობის აღმოსავლეთმცდონეობის ინსტიტუტი). 1961 წელს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გადავიდა აკადემიის სისტემაში ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სახელწოდებით (შემდგომში **ი. ქუთათელაძის** სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი) [1].

სოფლის მეურნეობის დარგში საკვლევაძიებო განვითარებისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით 1957 წლის ოქტომბერში ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ოთხი განყოფილებით. 1961 წელს ნოემბერში აკადემიის დაწესებულებები გადაეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო თვითონ აკადემია გაუქმდა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება და ბიოლოგიური და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება რეორგანიზებულ იქნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებად (მასში გაერთიანდნენ პალეობიოლოგიის, ფიზიოლოგიის, სატყეოს, ბოტანიკის, ზოოლოგიის ინსტიტუტები და თბილისის ბოტანიკური ბაღი, სოხუმის ბოტანიკური ბაღი და 1949 წელს აკადემიის სისტემაში შესული ბათუმის ბოტანიკური ბაღი) და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილებად, რომელშიც შევიდა ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის, კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიისა და 1957 წელს დაარსებული ექსპერიმენტული და კლინიკური ნევროლოგიის ინსტიტუტები. მედიცინის განყოფილებაში შევიდა ასევე 1959 წლის სექტემბერში ჩამოყალიბებული უროლოგიის ინსტიტუტი [2].

1958 წელს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში **ს. ჯანაშიას** სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდგომში **კ. კეკელიძის** სახელობის ხელნაწერთა ინტიტუტი), ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინროგეოლოგიური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (შემდგომში საინჟინროგეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის ს/კ ინსტიტუტი) და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ამ პერიოდში განვითარდა ისეთი ახალი მეცნიერული მიმართულებები, როგორიცაა:

ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბიოკიბერნეტიკა და სხვ.

1963 წლის მარტის თვეში გამოვიდა საბჭოთა კავშირის სადირექტივო ორგანოების დადგენილება „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც დასახული იყო საკავშირო მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კავშირი უახლოესი და შორეული პერიოდის სამეცნიერო გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის საკითხებთან, ყველაზე პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი მეცნიერული დარგების პრობლემათა გადაწყვეტასთან. ასევე, დადგენილებაში ყურადღება იყო გამახვილებული სამეცნიერო დაწესებულებათა სამუშაოების დახვეწის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქციო სამუშაოთა გეგმების უფრო სრულყოფილად დამუშავების აუცილებლობაზე.

აღნიშნული დადგენილების კვალდაკვალ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის 1963 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება „საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში არის მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, რომელთა მუშაობა იქნებოდა უფრო პროდუქტიული, თუ მრეწველობის დარგების მიხედვით მათ უხელმძღვანელებდნენ შესაბამისი სამინისტროები და კომიტეტები. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მთელი რიგი აკადემიური ინტიტუტები მრეწველობის დარგების მიხედვით გადაეცა სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვადასხვა სამინისტროებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გადაეცა შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: მეტალურგიის ინსტიტუტი, მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი, ენერგეტიკის ინსტიტუტი, სატყეო ინსტიტუტი; საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში გადავიდნენ კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, უროლოგიის ინსტიუტი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი.

ამ დადგენილებებიდან გამომდინარე საქართველო მეცნიერებათ აკადემიის სისტემაში აკად. **ნ. მუსხელიშვილის** ხელმძღვანელობით განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ სტრუქტურული ცვლილებები. 1963 წელს შეიქმნა სამეცნიერო განყოფილებები და განისაზღვრა მათში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: ა) მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება: მასში შედიოდა: 1) რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი; ბ) **ნიკო მუსხელიშვილის** სახელობის გამოთვლითი ცენტრი; გ) აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია; დ) ფიზიკის ინსტიტუტი; 2) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა განყოფილება. იგი მოიცავდა ა) გეოფიზიკის ინსტიტუტს; ბ) **ვ. ბაგრატიონის** სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, გ) გეოლოგიის ინსტიტუტს; 3) გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფლება, რომელშიც შედიოდა: ა) კიბერნეტიკის ინსტიტუტი, ბ) ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი, გ) **გ. წულუკიძის** სახელობის სამთო მექნიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი, დ) სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი; 4) ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება. მასში შედოდა: ა) **პ. მელიქიშვილის**

სახელობის ქიმიის ინსტიტუტი, ბ) გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, გ) ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი.

აკადემიაში შემავალი სხვა განყოფილებების სტრუქტურა თითქმის არ შეცვლილა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესიამ 1963 წლის 8 ოქტომბერს დაამტკიცა მეცნიერებათა აკადემიის წესდება, რომელიც მიღებულ იქნა ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად გადამუშავების შემდეგ, ხოლო იმავე წლის 9 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ახალი ვადით აირჩია აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილი** და განსაზღვრა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა შემადგენლობა.

ასევე, იმავე წელს ბოტანიკის ინსტიტუტის განყოფილების ბაზაზე აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ბიოქიმიის ლაბორატორია, რომელიც 1971 წელს გადაკეთდა ს/კ ინსტიტუტად, ხოლო ეკონომიკის ინსტიტუტი გარდაიქმნა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტად.

გასული საუკუნის 60-იან წლებში აკადემიაში 2-ჯერ ჩატარდა არჩევნები: 1960 წლის 31 დეკემბერს - საერთო კრების მიერ არჩეულ იქნა 18 აკადემიკოსი: **ნიკოლოზ ვეკუა, პეტრე გამყრელიძე, თეოფანე დავითია, ვაჰან მამასახლისოვი, შალვა_მიქელაძე, გიორგი ციციშვილი, გიორგი ჭოლოშვილი** (მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება**; ვლადიმერ მენაბდე** (ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება)**; ვლადიმერ ასათიანი, ირაკლი ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე** (მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება); **ფერდინანდ თავაძე, ოთარ ონიაშვილი** (ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება); **ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ისიდორე დოლიძე, გიორგი მელიქიშვილი, გიორგი ჯიბლაძე,** (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფლება), ხოლო 1961 წლის 10 იანვარს - 17 წევრ-კორესპონდენტი: **ქრისტეფორე არეშიძე, იოსებ ბუაჩიძე, ლევან გოკიელი, დიმიტრი ერისთავი, მათე მირიანაშვილი, არჩილ ცაგარელი** (მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება); **მიხეილ ბოკუჩავა, ლეონიდე გაბუნია, სერგი ნარიკაშვილი** (ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება); **პეტრე გელბახიანი, ნინო ჯავახიშვილი** (მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება); **ლევან აბელიშვილი, ნიკოლოზ აბელიშვილი, ნიკოლოზ გაბაშვილი, ნიკოლოზ ლანდია, პავლე შენგელაია, არჩილ ძიძიგური** (ტექნიკურ მენციერებათა განყოფილება); **პაატა გუგუშვილი** (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება).

გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ვოლუნტარიზმმა და სუბიექტივიზმმა თავისი დაღი დაასვა მეცნიერებათა აკადემიასაც. გაუმართლებელი იყო აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების ფაქტობრივი გაუქმება და სხვა უწყებათა გამგებლობაში გადაცემა, რომლებიც ვერ წარმართავდნენ ფუნდამენტურ გამოკვლევებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში. ასევე, გაუმართლებელი იყო სხვა უწყებებისათვის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და **სიმონ ჯანაშიას** სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გადაცემა. შეუძლებელია ისეთი ფაქტის გამართლებაც, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, ხოლო მომდევნო წლებში მისი გაუქმება.

1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ქმედითი ზომების მიღება მეცნიერების ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 1965 წლის გადაწყვეტილებით ქვეყნის უწყებებისათვის გადაცემული დაწესებულებები მეცნიერებათა აკადემიას დაუბრუნდა: მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, **სიმონ ჯანაშიას** სახელობის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 1966 წელს საკავშირო მინისტრთ საბჭოს გადაწყვეტილებით მეცნიერებათა აკადემიას დაუბრუნდა მეტალურგიის ინსტიტუტი. 1965 წ. პეტრე მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტს ეწოდა პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი.

ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ზემდგომი ორგანოების მიერ 1965 წლის 24 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტიელბა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ სპეციალური სამეცნიერო რედაქციის შექმნის შესახებ. ენციკლოპედიის პირველი ტომი გამოვიდა 1974 წელს. 1976 წელს ენციკლოპედიის რედაქცია გადავიდა გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში წარმოდგენილი იყო თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგი.

აკადემიის ასეთ წარმატებებში დიდი დამსახურება ჰქონდა მის პრეზიდენტს აკადემიკოს **ნიკო მუსხელიშვილს.** ის, გამომდინარე, ფართო სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა აკადემიის სისტემაში არსებული ცოდნის ყველა დარგის განვითარებისადმი.

2. ბატონი ნიკო მუსხელიშვილის სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომების მოკლე ანალიზი.

ბატონი **ნიკო** არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ დიდი პედაგოგიც იყო. მის შესანიშნავ ლექციებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა და ინჟინერთა მრავალი თაობა აღიზარდა.

აკად. **ნ. მუსხელიშვილს** წიგნები ანალიზურ გეომეტრიაში, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში და თეორიულ მექანიკაში უმაღლეს სასწავლებლების სახელმძღვანელოების ეტალონად ითვლებოდნენ და ათეული წლების მანძილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების ძირითად სახელმძღვანელოებად იყო მიჩნეული.

1971 წლის 16 თებერვალს დიდი მეცნიერს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. საიუბილეო საზეიმო სხდომა იმავე წლის 24 სექტემბერს გაიმართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მასზე დასასწრებად მოსკოვიდან ჩამოვიდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **მსტისლავ ვსეოლიდეს ძე კელდიში**, რომელმაც ასე დაახასიათა ბატონი ნიკო: **„ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის** მთელ მოღვაწეობაში დიდი როლი შეასრულა ამ უდიდესი ადამიანის პირადმა თვისებებმა. სწორედ ამ თვისებების დიდი მეცნიერის თვისებებთან შერწყმამ განაპირობა ის უმნიშვნელოვანესი წარმატებები, რასაც **ნიკოლოზ ივანეს ძემ** მიაღწია მეცნიერებაში და საზოგადოებრივ ცხოვრება-

ში“ [3].

1969 წელს მათემატიკისა და მექანიკის დარგში ფუნდამენტური შრომებისათვის აკად. **ნ. მუსხელიშვილს** ტურინის აკადემიამ (იტალია) მიანიჭა პრემია და ოქროს მედალი „მოდესტრო პანეტი“. ერთი წლის შემდეგ ქართველი მეცნიერი სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა ოქროს მედლით, ხოლო 1972 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ მას მიანიჭა მისი უმაღლესი ჯილდო - **მიხეილ ლომონოსოვის** ოქროს მედალი. ის ასევე დაჯილდოვებული იყო ბულგარეთის „კირილესა და მეთოდის“ პირველი ხარისხის ორდენით.

ნიკო მუსხელიშვილი იყო სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი და რიგითი სხვა აკადემიების საპატიო თუ ნამდვილი წევრი. ის 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიას, სადაც მაღალმა ავტორიტეტმა ბევრად შეუწყო ხელი იმ მნიშვნელოვანი მიღწევების მოპოვებას, რომლებმაც სახელი გაუთქვა ჩვენს აკადემიას და ჩააყენა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრების მოწინავე რიგებში.

ომის შემდგომ წლებში, 1948 წლის 1 მაისს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა საბჭოთა მეცნიერების, კულტურის მუშაკებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვა „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნის შესახებ. ამ მიმართვას ხელს აწერდა 68 გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილი.** მალე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, საზოგადოების შექმნის ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით. ამ ჯგუფში შევიდნენ გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები: **ს. ვავილოვი, მ. მიტინი, ი. არტობოლევსკი, ნ. მუსხელიშვილი** და სხვები. ცხადია, აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი,** რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ შექმნის ინიციატორიც იყო, მისი თავმჯდომარეობით 1948 წ. 28 მაისს თბილისში ჩატარდა თათბირი ამ საზოგადოების შექმნის თაობაზე. მანამ, იმავე წლის 30 მარტს, საორგანიზაციო ჯგუფის კრებაზე არჩეული იქნა საორგანიზაციო კომიტეტი 16 კაცის შემადგელობით, რომლის თავმჯდომარე გახდა აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი**, ხოლო მოადგილეები საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები **ნ. კეცხოველი** და **ა. შანიძე**.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ 1948 წ. 8 ივლისს გაიმართა საკავშირო საზოგდოება „ცოდნის“ დამფუძნებელი კრება. აქაც აკად. **ნ. მუსხელიშვილი** შეყვანილი იყო გამგეობის შემადგენლობაში ცნობილ აკადემიკოსებთან **ი. არტობოლევსკისთან, ლ. ბერგთან, ს. ვავილოვთან, ბ. ვედენსკისთან** და სხვებთან ერთად. კრების შემდეგ, აკადემიკოსი **ს. ვავილოვი** არჩეული იქნა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1948 წლის 20 დეკემბერს საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ დამფუძნებელ კრებაზე აკად. **ნიკო მუსხელიშვილი** აირჩიეს ამ საზოგდოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარედ [4].

1948 წლიდან, როცა შეიქმნა „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის“ რესპუბლიკური საზოგადოება, ბატონი **ნიკო** ამ საზოგდოების თავმჯდომარე იყო 1959 წლამდე. „ცოდნის“ საზოგადოების მუშაობაში თვალსაჩინო ქართველი მეცნიერების და განსაკუთრებით აკადემიის დამფუძნებელთა: **გ. ახვლედიანის, ი. ბერიტაშვილის, კ. ზავრიევის, ფ. ზაიცე-**

ვის, კ. კეკელიძის, ნ. კეცხოველის, ტ. კვარაცხელიას, ს. ჯანაშიას, ა. ჯანელიძის, ა. ჩიქობავას, გ. ჩუბინაშვილის, ა. შანიძის, დ. უზნაძის, ა. თვალჭრელიძის ჩართვა, აკად. ნ. მუსხელიშვილის, როგორც ამ საზოგადოების თავმჯდომარის აქტიურ მუშაობის შედეგი გახლდათ, რასაც ადასტურებს 1954 წ. გამართულ ამ საზოგდოების VI ყრილობაზე წარმოდგენილი მისი საანგარიშო მოხსენება, რომლის მოკლე ანგარიში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა [5].

საქართველოს ისტორიისა და ფილოსოფიის, საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებიდან, ცოდნის გავრცელებას საქართველოში დიდი ტრადიცია ჰქონდა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე. ჩვენს ქვეყანაში საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა და პედაგოგებმა **იაკობ გოგებაშვილმა, ივანე თარხნიშვილმა,** ქიმიკოსებმა **ვასილ პეტრიაშვილმა** და **პეტრე მელიქიშვილმა.** მაგრამ, საბუნებისმეტყველო მათემატიკურ მეცნიერებათა განვითარება საქართველოში იწყება უნივერსიტეტისა და მ/ა სისტემის ინსტიტუტების დაარსებისა და მათში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მუშობის გაშლის შემდეგ, რაც ძირითადად აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილის** სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა და მის მიერ გამოქვეყნებულ საჟურნალო და საგაზეთო სტატიებსა და წერილებში პოულობდა ასახვას. უფრო მეტიც, ბატონი **ნიკო** როგორც დიდი მეცნიერი ხელმძღვანელობდა ყოფილი საკავშირო და მსოფლიო კონგრესების მუშაობას, რომლებზედაც იგი გამოდიოდა მიმოხილვითი ხასიათის ვრცელი მოხსენებებით „დრეკადობის თეორიაში ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენება“ (ილია ვეკუასთან ერთად) თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საკავშირო ყრილობაზე (მოსკოვი, 1960 წ.). „კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება დრეკადობის თეორიაში“ სიმპოზიუმზე „ფუნქციათა თეორიის გამოყენება უწყვეტ ტანთა მექანიკაში“ (თბილისი, 1963 წ.); „ფუნქციათა თეორიის გამოყენება მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანებში“ (საერთაშორისო კონგრესი თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში, მოსკოვი, 1960 წ.), ასევე დარგის განვითარების შესატყვისი შესავალი ვრცელი სიტყვით, როგორც ამ ფორუმების თავმჯდომარე. ამ უკანასკნელთაგან ჩვენ გვაინტერესებს **ნიკო მუსხელიშვილის** სტატია „სრულიად საკავშირო კომფერენცია დრეკადობის თეორიის საკითხებზე“ (გაზ. „კომუნისტი“, 02.02.1940 წ.), „შესავალი სიტყვა თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საკავშირო ყრილობის გახსნის დროს (რუსულ ენაზე, 27.01.1960 წ.) და „ატომიდან გალაქტიკამდე“ (აკადემიკოს **ლ. სედოვთან** თანაავტორობით), რომელიც გაზეთ „პრავდაში გამოქვეყნდა 1972 წლის 21 აგვისტოს.

ბატონი **ნიკოს** სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომის სტილის დემონსტრირების მიზნით ჩვენ ვიხილავთ 1960 წელს დაწერილ საყრილობო შესავალი სიტყვის ქართული თარგმანის ზოგიერთ ნაწყვეტს და ვიმედოვნებთ, რომ სრული სახით ოდესმე გამოქვეყნდება:

„პატივცემულო დელეგატებო და სტუმრებო, პირველი საკავშირო ყრილობა თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში, რომელიც დღეს იწყებს მუშაობას, არის ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა.

აქ მყოფთათვის კარგადაა ცნობილი, რომ თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკური

პროგრესის პირობებში, ტექნიკის ყველა დარგში მექანიკას ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს მის საფუძველს. ამის გამო თანდათან ფართოვდება მექანიკის სხვადასხვა გამოყენების ფარგლები, მისი მნიშვნელობა შემდგომი პროგრესისთვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისთვის.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ მიღებული შედეგების შეჯამებას მექანიკის დარგში და მისი შემდგომი განვითარებისათვის, უმთავრესი პრობლემების განსაზღვრას.

ეს ამოცანები დგას ჩვენი ყრილობის წინაშე. თეორიული და გამოყენებითი მექანიკის დარგში საბჭოთა კავშირში მიღწეული წარმატებანი ყველასათვის კარგადაა ცნობილი და ჩვენ ამით სამართლიანად ვამაყობთ...

... რევოლუციამდელი რუსეთის პირობებში უცნობი **კონსტანტინე ედუარდის ძე ციოლკოვსკი**, არის პირველი მეცნიერი, რომელმაც მეცნიერულად იწინასწარმეტყველა რაკეტული ტექნიკის განვითრებისა და კოსმოსის ათვისების გზები.

მდგრადობის ზოგადი თეორიის შექმნა წარმოადგენს **ა. ლიაპუნოვის** შემოქმედების ნაყოფს. აეროდინამიკის საფუძლები შექმნილი იქნა „რუსული ავიაციის მამად“ წოდებული **ნ. ჟუკოვსკისა და ს. ჩაპლიგინის** შრომებში. **ა. კრილოვს** ეკუთვნის ფუძემდებლური შედეგები გემთმშენებლობისა და გემების თეორიის მეცნიერებაში.

ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გარდაქმნაში მონაწილეობდნენ უფროსი თაობის ყველაზე დიდი მექანიკოსები და მათემატიკოსები და ამ დარგების შედარებით ახალგაზრდა მეცნიერები: **ა. სტეკლოვი, გ. კოლოსოვი, ა. კრილოვი, ს. ჩაპლიგინი, ბ. გალიორკინი, ლ. ლეიბერზონი, ს. სობოლევი, ნ. მუსხელიშვილი, მ. ლავრენტიევი, ა. გელფანდი, დ. პანოვი, ს. ხრისტიანოვიჩი, ფ. განტმარეხი, ფ. ტრებინი, ნ. კოჩინი.** „გასულ 40 წლებზე მეტი ხნის მანძილზე, განაგრძობდა **ნიკო მუსხელიშვილი,** ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო ცენტრების რიცხვი, განმტკიცდა და ახლახან წარმოიქმნა მექანიკოსთა ძლიერი სკოლები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ყაზანში, თბილისში, ხარკოვში, სარატოვში, ერევანში და სხვა ქალაქებში.

ამჟამად, მთელ კავშირში ჩვენ გვაქვს ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც სწავლობენ მექანიკის სხვადასხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს“.

ნ. ჟუკოვსკისა და ს. ჩაპლიგინის კლასიკური შრომების განვითარებით საბჭოთა კავშირში დამატებით დამუშვდა იდეალური სითხის ბრტყელი დენადობის თეორიის მეთოდები.

ამჟამად, აკადემიკოსმა **ნიკოლოზ მუსხელიშვილმა,** მოკლედ რომ ითქვას, თავისი მოხსენების პირველ ნაწილში მიმოიხილა მექანიკაში შესრულებული შრომები, რომელთა შესახებ მასალები წარმოდგენილი იყო აღნიშნულ საკავშირო ყრილობაზე, აგრეთვე კვლევები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა მთელ სამეცნიერო სამყაროში.

შემდეგ, აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილი** განაგრძობს: „საბჭოთა მეცნიერებას მრავალრიცხოვანი მიღწევები აქვს დეფორმირებული სხეულების მექანიკაში. კერძოდ, ფართო განვითარება მიიღო კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენებამ დრეკადობის თეორიის ბრტყელ ამოცანებში, რომლებიც გამომდინარეობს აკად. **გ. კოლოსოვის**

კვლევებიდან.

წარმატებით ვითარდებოდა ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი დრეკადობის თეორიაში. დრეკადი ტალღების გავრცელების ამოცანის შესახებ მიღებულია მნიშვნელოვანი ამონახსნი.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი შედეგია მიღებული დრეკადი გარსების თეორიაში, რომელთა შორის აღსანიშნავია **ვ. ვლასოვის** შრომები, ხოლო გარსების თეორიაში არსებითი გამოყენება ჰპოვა განზოგადოებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებმა“.

ბატონი **ნიკოს** სიტყვის შემდგომი ნაწილი მიძღვნილია 1960 წლის იანვრისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმატებისადმი კოსმოსური ტექნიკის განვითარებისა და ხელოვნური თანამგზავრების შექმნის საქმეში. აკადემიკოსმა **ნიკო მუსხელიშვილმა** რამდენიმე ათეული სამეცნიერო-პოპულარული სტატია და წერილი გამოაქვეყნა ცენტრალურ და რესპულიკურ ჟურნალ-გაზეთებში. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. 1958 წლის 10 დეკემბერს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვყნდა სტატია - „ჩვენი მეცნიერების საიამაყე და დიდება“ (დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შესახებ). მანამდე კი „ზარია ვოსტოკაში“ 1958 წლის 9 ოქტომბერს დაიბეჭდა მისი ვრცელი სტატია „ადამიანური გენიის უდიდესი მიღწევა“ (კაცობრიობის ისტორიაში პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შესახებ). 1960 წ. 25 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი სტატია „განსაცვიფრებელი შედეგები (ახალი ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის შესახებ). 1960 წლის 14 თებერვალს „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატია „საბჭოთა მეცნიერების ახალი ტრიუმფი (პლანეტა ვენერაზე კოსმოსური რაკეტის გაშვების შესახებ“, რომელსაც **ბატონ ნიკოსთან** ერთად ხელს აწერდნენ პროფ. **ევგენი ხარაძე** და პროფესორი **ვ. კუპრაძე.** 1961 წ. 14 თებერვალს „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა სტატია „დიდი გამარჯვება“ (ავტომატური საპლანეტათაშორისო სადგურის გაშვების შესახებ“ (ვენერას მიმართულებით ხომალდის გაშვების შესახებ). 1962 წლის 12 აპრილს „კომუნისტში“ იბეჭდება „უმაგალითო, დაუვიწყარი“ დასახელების სტატია (კოსმოსში საბჭოთა ადამიანის პირველი გაფრენის შესახებ). იმავე წელს, იმავე გაზეთში 16 აგვისტოს იბეჭდება მისი სტატია „მეცნიერების საოცრება“ (თანამგზავრების „აღმოსავლეთ - 3“ და „აღმოსავლეთ - 4“-ის გაშვების შესახებ) და 4 ნოემბერს - „საბჭოთა ადამიანის გენია იმარჯვებს“ (კოსმოსური ხომალდის „გარსი“ გაშვების შესახებ).

1963 წელი ერთობ გადატვირთული იყო მეცნიერის ცხოვრებაში. ამ წელს მისი წიგნების: „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ მეორე ინგლისური თარგმანი და „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში“ გამოვიდა. ამასთან, მათემატიკოსებისა და მექანიკოსების დიდი საერთაშორისო ფორუმის თავმჯდომარე და მასპინძელი იყო, თითქმის ყველა საგაზეთო პუბლიკაცია ამ ფაქტს მიეძღვნა. 1964 წლის 14 ივლისის „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატია „პირველად კაცობრიობის ისტორიაში“, რომელიც შეეხებოდა მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდის „აისის“ გაშვებას. 1967 წელს „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა „კიდევ ერთი ტრიუმფი“ (დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების „კოსმოს-195“ და „კოსმოს-196“-ის ორბიტაზე პირველი ავტომატური შეპირაპირება მსოფლიოში).

აქ მოტანილ ფაქტებს ავსებს ბატონი **ნიკოს** შესავალი სიტყვის შემდეგი ნაწყვეტი:

„საბჭოთა მეცნიერების და მათ რიცხვში მექანიკოსების შესანიშნავი მიღწევების დასტურია 1957 წლის 4 ოქტომბერს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, რომელსაც თან მოჰყვა უფრო დიდი ზომის თანამგზავრის გაშვება. მესამე ხელოვნურმა საბჭოთა თანამგზავრმა, ამჟამად შეასრულა რამდენიმე ათასი გარსშემოვლა დედამიწის ირგვლივ“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. **ნიკო მუსხელიშვილის** სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის ერთ-ერთი ბოლო სტატია რომელიც გაზეთ „პრავდაში გამოქვეყნდა 1972 წელს [6]. ეს სტატია მიეძღვნა თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კონგრესს, რომელიც 1972 წლის 21 აგვისტოს გაიმართა ქ. მოსკოვში, ამ სამეცნიერო ფორუმის საორგანიაციო კომიტეტისა და თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილის** თავმჯდომარეობით.

ამ დარგში ყოველ ოთხ წელიწადში ეწყობოდა საერთაშორისო კონგრესები. 1972 წელს გამართულ კონგრესში შეიძლება გამოვკვეთოთ აკადემიკოს **ნიკოლოზ მუსხელიშვილის** თვალსაზრისი.

იმ საკითხებიდან, რომელნიც დასმული იყო კონგრესის თავმჯდომარის შესავალ სიტყვაში, ჩვენ გამოვყოფთ სამ პრობლემურ საკითხს: 1) მექანიკის, როგორც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მეცნიერების როლის შესახებ დანარჩენი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის (ფიზიკა, გეოფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია და სხვ.) პრინციპებისა და მეთოდების თვალსაზრისით; 2) სამეცნიერო ინფორმაციის „დაბინძურების“ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ; 3) კონგრესზე წარმოდგენილი განსახილველი სამეცნიერო ნაშრომების კლასიფიკაციის შესახებ. სამივე ამ საკითხს, ინტერესიც გააჩნია.

ამჟამად, თვისი შინაარსით, ისეთი ძირითადი მეცნიერებები, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია და ბიოლოგია და ასევე მთელი ბუნებისმეტყველება მთლიანობაში, გაერთიანებულნი არიან ბუნების ძირითდი კანონების კვლევის ზოგადი მეთოდებით და სარგებლობენ ზოგად ცნებათა და წარმოდგენათა სისტემით, რომელთაგან მრავალს მექანიკური ბუნება აქვს.

ჩვენს დროში თანდათან აშკარა ხდება, რომ ბუნებისმეტყველების საფუძვლები ერთიანია თავისი პირებით; ცოდნის სპეციალური ვიწრო დარგის სიღრმრისეული და ინტენსიური განვითარების პარალელურად, ხელახლა მიმდინარეობს ბუნების მოვლენათა შესწავლისადმი მიძღვნილ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის გაერთიანებისა და ურთიერთშერწყმის პროცესი. ერთი და იგივე უნივესალური კანონები სხვადასხვა ვარიაციით შეიძლება იქნას გამოყენებული მეცნიერულ შრომებში, რომლებიც მიძღვნილია ელემენტარული ნაწილაკების, ატომების, მოლეკულების, ცოცხალი უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანიზმების, აირის, სითხის, მყარი ტანის, პლანეტების, ვარსკვლავების, გალაქტიკებისა და მეტაგალაქტიკისადმი.

ამ უკანასკნელთა მიმართულებით „ინტეგრალური სინგულარული განტოლებების“ გამოყენების ეფექტურობა ნაჩვენები იქნა გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში ინგლისელი **ს. ჰოუკენგის,** ამერიკელი **ჯ. უილერისა** და საბჭოთა მეცნიერების - აკადემიკოსების **ი. ზელდოვიჩისა** და **ვ. სობოლევის** შრომებში [7, 8, 9].

შევნიშნოთ, რომ აკადემიკოსები **ნ. მუსხელიშვილი** და **ლ. სედოვი** თავიანთ სტატიაში დასკვნის სახით წერენ: „ერთი შეხედვით, სხვადასხვა თეორიებსა და დაკვირვებად ეფექტებს შორის ზოგადი თვისებებისა და შინაგანი კავშირების დადგენა გვეხმარება, მეცნიერების მდგომარეობის და მისი მიღწევების უფრო სრულად გაგებაში, განვითარებადი თეორიების სწორად შეფასებაში და მოპოვებული შედეგების საუკეთესო ორიენტაციაში.

ეს, აგრეთვე გვეხმარება, გამოქვეყნებულ ნაშრომთა უზარმაზარ ნაკადში გამოვყოთ ისეთები, რომლებიც შეიცავენ ჭეშმარიტად ღირებულ და პერსპექტიულ შედეგებს. ყველა ესენი ძალზედ აუცილებელია მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენების ამოსავალი საფუძვლების მისაღებად მეცნიერების განვითარებისათვის“.

სტატიაში განხილული და ფართო საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობი მასალების ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, თუ რამდენად დიდ როლს ანიჭებდა სახელგანთქმული მეცნიერი მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზების საკითხებს.

3. აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის პერსონიზებული სტატიები

ბატონი ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო ნაშრომთა შედარებით სრული ბიოგრაფიის მონაცემებით, ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა 500-მდე ნაშრომი [10]. ამ ნაშრომთა შორის, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სამი მონოგრაფია;

1. „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ (1933, 1935, 1949, 1949, 1954, 1956, წლების რუსულენოვანი გამოცემები“, 1953 წლის ინგლისურენოვანი, 1972 წლის გერმანულენოვანი, 1956 წლის რუმინულენოვანი და 1958 წლის ჩინურენოვანი გამოცემა);
2. „კოშის ტიპის ინტეგრალის გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანისათვის“ (1922 წლის ფრანგულენოვანი გამოცემა);
3. „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“ (1946, 1962, 1968 წლების რუსულენოვანი, 1953 და 1962 წლების ინგლისურენოვანი, 1965 წლის გერმანულენოვანი და 1982 წლის ქართულენოვანი გამოცემები და ოთხი სახელმძღვანელო:

1. „ლექციები ანალიზურ გეომეტრიაში“ (1922, 1933 წლების რუსული გამოცემა, 1929 წლის ქართული გამოცემა - თარგმანი);
2. „სტატიკა“ (1926, 1930, 1933 წლების ქართულენოვანი გამოცემა;
3. „კინემატიკა“ (1928 და 1932 წლების ქართულენოვანი გამოცემა);
4. „ანალიზური გეომეტრიის კურსი“ (1933, 1938, 1947 და 1966 წლების რუსულენოვანი და მათი ადექვატური ქართულენოვანი თარგმანები, 1955 წ. ჩინური თარგმანი).

გარდა ამისა, ბატონ **ნიკოს** აღნიშნულ წლებში დაწერილი აქვს რამდენიმე ათეული მეცნიერული სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე; ასამდე რეფერატული სტატია, რომლებიც დაიბეჭდა გერმანულ რეფერატულ ჟურნალებში. სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობის 50-იანი წლებიდან, **ნ. მუსხელიშვილმა** გამოაქვეყნა 300-მდე ნაშრომი - სტატია - ინტერვიუ პერსონიზირებული (50 ერთეული), მეცნიერულ-ორგანიზაციული (140 ერთეული), მეცნიერულ-პოპულარული (110 ერთეული) შინაარსისა და წიგნი „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში“ (1963 წ.).

ის გარემოება, რომ აკად. **ნიკოლოზ მუსხელიშვილს,** მისი მოღვაწეობისას უმაღლესი

სამეცნიერო, ორგანიზაციული და სახელმწიფოებრივი დონის ასპარეზზე, როგორც საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, უზენაესი საბჭოს ყველა მოწვევის საკავშირო და რესპუბლიკური სესიების თუ პარტიული ყრილობების დელეგატს, საქ. მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტს და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს საშუალებას არ აძლევდა ფართე მასშტაბის სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ზემოთ მოტანილ იმ დარგებში, მის მიერ გამოქვეყნებული პროდუქცია უყურადღებოდ დარჩეს მისი შემოქმედების მკვლევარებს.

ცხადია, გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი რაოდენობა ჩამოთვლილ პრობლემათა ცალკე განხილვასა და დეტალურ ანალიზს მოითხოვს. ახლა შევეცადოთ მთლიანობაში წარმოვადგინოთ პერსონიზირებული ხასიათის ნაშრომებში გაშუქებული პრობლემები და გადმოვცეთ დიდი მეცნიერის ნააზრევის ზოგიერთი დეტალი.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში მას მოუხდა პერსონიზირებული ხასიათის სტატიების გამოქვეყნება, მისი უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი მეცნიერის, მათემატიკოსის, მეტალურგისა და სპორტსმენის **გიორგი ნიკოლაძის** და უსაყვარლესი მასწავლებლის და ცნობილი რუსი მეცნიერის **გური კოლოსოვის** შესახებ. ამავე ხანებში იგი ერთობლივ გამოსათხოვარ წერილს აქვეყნებს ცნობილი ქართველი იურისტის, პროფესორ **ლუარსაბ ანდრონიკაშვილის**_შესახებ, რომელშიც **ივანე ჯავახიშვილთან, გიორგი ახვლედიანთან** ერთად გამოხატავს დიდ გულისტკივილს გარდაცვლილისადმი და იმ დიდ აღფრთოვანებას, რასაც ეს პიროვნება იწვევდა მასში, როგორც მეცნიერი და მოქალქე. ის დიდი პატივისცემა, რომელსაც **ნ. მუსხელიშვილი** ატარებდა **ლუარსაბ ანდრონიკაშვილის** მიმართ, არ განელებულა და ახალი ძალით გამოვლინდა მის დამოკიდებულებაში განსვენებულის მეუღლისა და მისი შვილების - **ირაკლისა** და **ელეფთერის** მიმართ.

ამავე პერიოდში მან ერთობლივი **(ს. ჯანაშიას, გ. ხაჭაპურიძესა** და **დ. ყიფშიძესთან** ერთად) წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდაში“ (1939 წ.), რომელშიც საკავშირო მასშტაბით მოხდა, დიდი ქართველი ისტორიკოსისა და ქართველოლოგის **ივანე ჯავახიშვილისადმი** „ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებელ“ ისტორიკოსის იარლიყის მოხსნა და საკავშირო მეცნიერებათ აკადემიაში მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრების დასაბუთება. ცხადია სტატია გულდასმით მზადდებოდა პროფესორ **ჯანაშიას** ხელმძღვანელობით, მაგრამ მის საბოლოო დასკვნაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილი.**

1941-51 წლებში **ნიკო მუსხელიშვილმა** გამოაქვეყნა **ივანე ჯავახიშვილისადმი** მიძღვნილი სტატიები: „დიდი მეცნიერი **ივანე ჯავახიშვილი**“ (გარდაცვალების წლისთავზე - 22/11/21941 წ. გაზეთ „კომუნისტი“ და „თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი“ (რუსულად, გაზეთი „იზვესტია“,14.09.1943 წ.) აკადემიის წევრ-კორსპონდენტების **აკ. შანიძის, გ. ახვლედიანისა** და პროფ. **ნ. ბერძენიშვილის** თანაავტორობით: „გაბედული ნოვატორი **დ. ბოგომოლეცი“** (გაზეთი „საბჭოთა უკრაინა“, 28.05.1941 წ.); გენიალური რუსი მათემატიკოსი **ნიკოლოზ ივანეს ძე_ლობაჩევსკი** („კომუნისტი“, 3/11.1943 წ.); „ჩვენი პრეზიდენტი **ვ.ლ. კომაროვი“** (Изв. АН СССР, №10, 1944 г.); „შესანიშნავი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე - **ს. ჯანაშია** (კომუნისტი, 20.11.1947 წ.); **„ს.ი. ვავილოვი** და მოკავშირე რესპუბლიკების მ/ა-ე-

ბის განვითარება“ წიგნში „Помяти“ С. И. Вавилова, М., 1972); „გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი (კირიაკ ზავრიევის 70 წლისთავის გამო)“ (გაზეთი თბილისი, 16.01.1961 წ., **ვ. მახალდიანის** თანაავტორობით); „ჩვენი პირველი უნივერსიტეტი“ **(მ.ვ. ლომონოსოვის** დაბადებიდან 250 წლისთავისადმი, გაზ „ზარია ვოსტოკა“, 21.01.1961 წ.); უკვდავი აზრის სვეტიცხოველი“ **(კ. კეკელიძის** გარდაცვალების გამო, გაზ. „კომუნისტი“, 12.07.1962 წ.); „იუბილარი“ **(გ. ჩუბინიშვილის** დაბადების 80 წლისთავისადმი გაზ. „კომუნისტი“ 21.11.1965 წ.); „დიდი წვლილი სამამულო მეცნიერებაში“ **(ივანე ბერიტაშვილის** დაბადებიდან 80 წლისთავის გამო, გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“, 24.04.1965 წ.); „პოეტის უკვდავება“ (შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გამო, „ლიტერატურული საქართველო“, 23.09.1966 წ.), „დიდი პოეტი, შესანიშნავი მკვლევარი“ (ჟურნ. „მაცნე“, №4, 1966); „უღვთო არის შენი სიკვდილი“ **(გ. ლეონიძის** გარდაცვალების გამო, გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 14.08.1960 წ.); „შესანიშნავი ადამიანი“ (აკად. **ილია ვეკუას** დაბადების 60 წლისთავის გამო. „კომუნისტი“, 19.11.1967 წ.); **„ილია ნესტორის ძე ვეკუა“** (დაბადების 60 წლისთვის გამო, „უსპეხი მატემატიჩესკიხ ნაუკ“ 1967 წ.)და ა.შ.

წარმოდგენილი, გამოჩენილი ქართველი პოეტების, მწერლების, მეცნიერების, პედაგოგებისა და უცხოელი თვალსაჩინო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი პერსონალიზებული გამოკვლევები, რომლებიც დაწერილია **მუსხელიშვილისეული** სტილით, ავტორის თვალსაჩინო ლიტერატურულ-პედაგოგიურ-მეცნიერული შემოქმედების ნაყოფია და მეტად ძვირადღირებულ მასალას წარმოადგენს ამ დარგით დაინტერესებული მკითხველისათვის.

აღსანიშნავია ისიც, ბატონი **ნიკოს** საბოლოო რედაქციით იბეჭდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იმ თვალსაჩინო პიროვნებათა ნეკროლოგები, რომლებიც დაიწერა **ი. ჯავახიშვილის ა. მაჭავარიანის, ს. ჯანაშიას, ი. ვაწაძის, ა. გაჩეჩილაძის, ა. ჯავახიშვილის, გ. ახვლედიანისა** და სხვების გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სახელოვანი მეცნიერის აკად. **ნ. მუსხელიშვილის** მოწიწება უფრო აშკარად ჩანს სამგლოვიარო სტატიიდან, რომელიც დაიბეჭდა 1962 წ. უდიდესი ფილოლოგის აკად. **კორნელი კეკელიძის** გარდაცვალებასთან დაკვშირებით, სათაურით „უკვდავი აზრის სვეტიცხოველი“, რომელშიც ის წერს: „თავისი მაღალი ნიჭი და საოცარი უნარი დაუღალავი მუშობისა **კორნელი კეკელიძემ** მთლიანად მოახმარა მშრომელი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის საქვეყნოდ გამომზეურებას. მან პირველმა, იშვიათი მეცნიერული სიღრმითა და სისრულით შეისწავლა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა და მას მიუჩინა-ერის დიდების ამ საწყაულს - თავისი ღირებული და მეტად საპატიო ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში“ [11].

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ცნობილ პიროვნებასთან ურთიერთობა აკად. **ნ. მუსხელიშვილს** უხდებოდა არა მარტო, როგორც აკადემიის პრეზიდენტს, არამედ ვითარცა ადამიანს, რომლის ჰუმანიტარული მეცნიერებებით გატაცება საყოველთაოდ იყო ცნობილი. პრეზიდენტის ეს დიდი შინაგანი აღიარებული თვისება რეალიზაციას პოულობდა, როგორც მეცნიერებათა აკადემიაში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროპორციული განვითარების მხრივ, ასევე ამ მეცნიერებათა წარმომადგენელთა სათანადო პატივისცემის კუთხით. საყოველთაოდაა ცნობილი აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილის** გამონათქვამი - პოეტი - აკადემიკოსის, ქართული პოეტური აზროვნების გე-

ნიის **გალაქტიონ ტაბიძის** შესახებ: „ჩვენ ახლა გალაკტიონთან სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარეთ“.

აკად. **ნიკო მუსხელიშვილს** მეგობრობისა და დიდი პიროვნებების მიმართ ურთიერთთანადგომის ბუნებრივი გრძნობები აკავშირებდა პოეტ-აკადემიკოსების **კონსტანტინე გამსახურდიასა** და **გიორგი ლეონიძის** მიმართ. ცნობილია თუ როგორ თანაუგრძნობდა პოლიტიკური დევნით შევიწროებულ **კ. გამსახურდიას** აკადემიის პრეზიდენტი, განსაკუთრებით 1956 წლის მარტის თვეში **ნ. ხრუშჩოვის** მიერ **ი. სტალინის** კულტის“ არც თუ მთლად კანონიერად გაცხადების შემდეგ, თბილისში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისა და რეპრესიების მოწყობისას ახალგაზრდა დისიდენტების **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** დაპატიმრების დროს [12].

ძალზე საინტერსოა ბატონების **ნ. მუსხელიშვილისა** და **ი. ვეკუას,** როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები. ამ მიზნით მოვიტანოთ მცირე ნაწყვეტი აკადემიკოს **ილია ვეკუას** მოგონებიდან, რომელიც ეხება მის ასპირანტურაში ჩარიცხვას: „სათანადო რეკომენდაცია ბატონ **კონსტანტინე (კოწია) სულაქველიძის** თხოვნით ბატონმა **ნიკო მუსხელიშვილმა** მომცა. ამ რეკომენდაციამ ადვილად გამიხსნა გზა აკადემიკოს **კრილოვთან,** რომელიც დიდ პატივს სცემდა ბატონ **ნიკოს,**_როგორც მეცნიერსა და ადამიანს. მან უსიტყვოდ მიმიღო ასპირანტურაში და თვითონვე იკისრა ჩემი ხელმძღვანელობა. უფრო მოგვიანებით ბატონმა **ნიკომ**_მითხრა, რომ რეკომენდაცია **გიორგი ნიკოლაძის** რჩევითაც ჰქონდა დაწერილი, რომელმაც თურმე ძალიან კარგი დახასიათება მომცა“ [13].

ალბათ, ის უნარი, რომელიც აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილს** თავის მასწავლებლების, კოლეგებისა და მოსწავლეების შემოქმედებითი და ადამიანური ბუნების გახსნაში ეხმარებოდა, ბუნებრივია და არაჩვეულებრივიც, რომლითაც იგი კეთილისმსურველთა გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევდა.

ლიტერატურა

1. ადეიშვილი თ., ჯიქია მ., ადეიშვილი მ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მოკლე ისტორია. ქუთაისი, 2023;
2. მგალობლიშვილი ლ. საქართველოს მეცნიერებათ ეროვნული აკადემია 1941-2011 წლებში, თბილისი, 2011;
3. ეფრემიძე თ. ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი, ქუთაისი 2011;
4. „ლექტორის ტრიბუნა“ სერია 1-2, „ცოდნა“, 1988;
5. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 12/I/1954 წ., „ზაირა ვოსტოკა“, თბილისი, 13.01.1954;
6. Мусхелишвили Н.И. Седов Л. «Важное научное явление». Газ. «Правда», м. 21.08.1972 г.
7. Соболев В.В. Рассеяние света в атмосферах планет. М., «Наука», 1972;
8. Hawking S., and Penrose R. The Nature of Space and Time. Prinseton University Press, 1996;
9. Зельдович Я.Б. Избранные таруды. М., «Наука», 1985;
10. მუსხელიშვილი ნიკო. ბიბლიოგრაფია, მეცნიერება, 1980, თბილისი;
11. მუსხელიშვილი ნიკო. „დიდი ქართველი მეცნიერი - აკადემიკოსი კორნელი კეკელი-

ძე“, თბილისი, „მეცნიერება, 1965;
12. სუისცა, თსუ. ფ. 471, ა. 1, შ.ე. 2.
13. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ილია ვეკუას დაბადების 70 წელი, თსუ, თბილისი, 1977 წ.

The role of Academician Nekoloz Muskhelishvili in the post-war functioning of the Georgian Academy of Sciences in 1945-1970, and his scientific works

T. Adeishvili, Tor. Adeishvili, G. Dadunashvili, T. Tskipurishvili

S U M M A R Y

The paper discusses the role of Academician Niko Muskhelishvili in the functioning of the Georgian Academy of Sciences in the post-war period. His equal care for both social and natural sciences is clearly visible. The importance of his fundamental and popular works is shown.